

შპს ოდა

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „ოდა“
სარჩევი

მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
დასკვნის ბოლო გვერდი	20

შპს „ოდა“
 მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	4	4,413,080	5,202,019
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(1,575,319)	(3,498,021)
სრული მოგება		2,837,761	1,703,999
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(571,922)	(940,029)
მიწოდების და კომერციული ხარჯები		(3,966)	(22,556)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		(317,167)	(158,631)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(17,090)	1,988
მოგება დაბეგვრამდე		1,927,615	584,771
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		1,927,615	584,771
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		1,927,615	584,771

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე

შპს „ოდა“
მოგება/ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	4	4,413,080	5,202,019
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(1,575,319)	(3,498,021)
სრული მოგება		2,837,761	1,703,999
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(571,922)	(940,029)
მიწოდების და კომერციული ხარჯები		(3,966)	(22,556)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		(317,167)	(158,631)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(17,090)	1,988
მოგება დაბეგვრამდე		1,927,615	584,771
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		1,927,615	584,771
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		1,927,615	584,771


ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი მფლობელთა:

ნინელი სალუქვაძე



შპს „ოდა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,082,559	1,852,977
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	7	30,404	201,916
გრძელვადიანი აქტივები		2,112,963	2,054,892
მარაგები	8	8,263,462	4,937,314
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	602,163	903
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	10	961,005	138,081
მიმდინარე აქტივები		9,826,630	5,076,298
სულ აქტივები		11,939,593	7,131,190
კაპიტალი			
კაპიტალი	11	1,397,654	2,915,869
გაუნაწილებელი მოგება		2,646,027	718,412
სულ კაპიტალი		4,043,681	3,634,281
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	4,814,026	1,351,000
ფინანსური იჯარის ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,814,026	1,351,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,075,651	2,139,674
მოკლევადიანი სესხები	12	6,234	6,234
მიმდინარე ვალდებულებები		3,081,885	2,145,908
სულ ვალდებულებები		7,895,911	3,496,908
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,939,592	7,131,189

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე

შპს „ოდა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-დეკ-23	31-დეკ-22
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,082,559	1,852,977
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	7	30,404	201,916
		2,112,963	2,054,892
გრძელვადიანი აქტივები			
მარაგები	8	8,263,462	4,937,314
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	602,163	903
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	10	961,005	138,081
მიმდინარე აქტივები		9,826,630	5,076,298
სულ აქტივები		11,939,593	7,131,190
კაპიტალი			
კაპიტალი	11	1,397,654	2,915,869
გაუნაწილებელი მოგება		2,646,027	718,412
სულ კაპიტალი		4,043,681	3,634,281
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	4,814,026	1,351,000
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		4,814,026	1,351,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,075,651	2,139,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	6,234	6,234
მოკლევადიანი სესხები	12	3,081,885	2,145,908
მიმდინარე ვალდებულებები		7,895,911	3,496,908
სულ ვალდებულებები		11,939,592	7,131,189
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის ხელწასმით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე



შპს „ოდა“
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	173,446	133,640	307,087
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	2,851,301	-	2,851,301
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	584,771	584,771
განაწილებული დივიდენდი	(108,878)	-	(108,878)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,915,869	718,412	3,634,281
კაპიტალის შემცირება	(2,074,930)	-	(2,074,930)
კაპიტალის ზრდა	556,714	-	556,714
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	1,927,615	1,927,615
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,397,654	2,646,027	4,043,681

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე

შპს „ოდა“
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	173,446	133,640	307,087
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	2,851,301		2,851,301
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	584,771	584,771
განაწილებული დივიდენდი	(108,878)	-	(108,878)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,915,869	718,412	3,634,281
კაპიტალის შემცირება	(2,074,930)	-	(2,074,930)
კაპიტალის ზრდა	556,714	-	556,714
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	1,927,615	1,927,615
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,397,654	2,646,027	4,043,681

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე



შპს „ოდა“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პირდაპირი მეთოდი

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	97,654	-
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ავანსები	7,167,715	3,094,067
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,118,142)	(3,111,161)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	(415,240)	(363,467)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(298,687)	(749,862)
გადახდილი გადასახადები	(725,979)	(558,617)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(30,922)	1,226,415
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(323,601)	(462,626)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(453,818)	(1,277,781)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(453,818)	(1,277,781)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	556,139	2,843,796
საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	(2,064,930)	(101,958)
სესხების აღება	4,741,662	-
სესხების დაფარვა	(1,325,247)	-
სესხზე გადახდილი პროცენტები	(320,412)	(2,413,017)
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	2,460	313,255
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	1,589,672	642,077
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	10,670	(772,215)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	822,923	(1,870,547)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	138,081	2,008,628
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	961,005	138,081

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე

შპს „ოდა“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პირდაპირი მეთოდი

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	97,654	-
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ავანსები	7,167,715	3,094,067
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,118,142)	(3,111,161)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	(415,240)	(363,467)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(298,687)	(749,862)
გადახდილი გადასახადები	(725,979)	(558,617)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(30,922)	1,226,415
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>(323,601)</u>	<u>(462,626)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(453,818)	(1,277,781)
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(453,818)</u>	<u>(1,277,781)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება	556,139	2,843,796
საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	(2,064,930)	(101,958)
სესხების აღება	4,741,662	-
სესხების დაფარვა	(1,325,247)	-
სესხზე გადახდილი პროცენტები	(320,412)	(2,413,017)
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	2,460	313,255
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>1,589,672</u>	<u>642,077</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	10,670	(772,215)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	822,923	(1,870,547)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	138,081	2,008,628
<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის</u>	<u>961,005</u>	<u>138,081</u>

ფინანსური ანგარიშგება მეწეჯმენტის სახელით, 2024 წლის 23 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სოფიო ხოჯავა

მთავარი ბუღალტერი:

ნინელი სალუქვაძე



1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს ოდა (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 18 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405379264.

შპს ოდას რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ., N3, კორ. N27, ბ. N50.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დეველოპერული ბიზნესის განვითარება, სამშენებლო-საპროექტო მომსახურების გაწევა.

კომპანიის დამფუძნებელი 100 %-იანი წილის მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის სოფიო ხოჯავა (პ/ნ 01031005348).

კომპანიაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 11 თანამშრომელი. ოდას გუნდმა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომით, ხელმისაწვდომი ფასით, ასევე პროექტების სწრაფი და მაღალხარისხიანი განხორციელებით დაიმკვიდრა ადგილი სამშენებლო და საპროექტო ბაზარზე. მომხმარებელთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, შეთავაზებული პირობების დაცვა, პროექტების დათქმულ ვადებში განხორციელება და მათი ნდობის გამართლება წარმოადგენს კომპანიის ძირითად ღირებულებას.

გუნდი მუდმივად მუშაობს მომსახურების ხარისხის განვითარებაზე, რათა მომხმარებელს შევუქმნათ კომფორტული პირობები, როგორც მომსახურების მხრივ, ასევე შევთავაზოთ მათ მოთხოვნებზე მორგებული გადახდის პირობები.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილებისა და მიმდინარე მოვლენების, გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს, ამიტომაც ფინანსური ზრდა შენარჩუნდება კომპანიის ძირითადი საქმიანობის ხარისხის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით: საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება, ამასთან მნიშვნელოვანია ისიც რომ პერსონალის კომპეტენცია და უნარები ღირსეულად იღებს პანდემიის გამოწვევებს. პანდემიას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის შემოსავლების სტაბილურობაზე არქიტექტურული მომსახურების ნაწილში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

საქმიანობის უწყვეტობა

დეველოპერულ ბაზარზე ოპერირება კომპანიამ პანდემიისას დაიწყო, რაც შეიძლება აღვიქვათ, რომ კომპანიამ გამოწვევა შესაძლებლობად აქცია.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეინარჩუნებს ფინანსურ სტაბილურობას და არ არსებობს რაიმე სახის მოვლენა, რომელიც წარმოშობს ეჭვს არსებით განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით და კომპანიის უნართან გააგრძელოს საქმიანობა მომავალში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
დანადგარები და აღჭურვილობა	3-5
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად. კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში

უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმომოხილი ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი

კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდირებად ინვესტიციებს სამ თვიანი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე.

4. შემოსავალი

ლარი	2023	2022
შემოსავალი საპროექტო მომსახურებიდან	4,413,080	5,202,019
სულ შემოსავალი	4,413,080	5,202,019

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2023	2022
შრომის ანაზღაურება	87,275	611,090
ამორტიზაცია და ცვეთა	206,250	132,368
ბიზნეს ასოციაციის ხარჯები	33,625	28,291
კონსულტაციისა და აუდიტის ხარჯები	31,501	32,512
სამეურნეო ხარჯი	55,126	26,233
მიმდინარე რემონტის ხარჯი	37,500	24,367
დაცვის ხარჯი	771	19,534
ა/მანქანის რემონტის ხარჯი	35,271	15,169
იჯარის ხარჯი	-	12,396
კომუნალური ხარჯი	18,151	11,088

შპს ოდა
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერი

საწვავის ხარჯი	4,457	5,643
ბანკის საკომისიო	767	1,731
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,650	870
საგადასახადო ხარჯი	11,688	-
სხვადასხვა ხარჯები	44,890	18,737
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	571,922	940,028

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა ნაგებობა	დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,985	186,131	186,997	98,273	323,028	6,322	818,736
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	-	657,177	80,305	87,102	445,634	-	1,270,218
დარიცხული ცვეთა		(19,377)	(25,086)	(21,363)	(60,220)	-	(126,046)
გასული					(103,610)	(6,322)	(109,932)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,985	823,931	242,216	164,012	604,832	-	1,852,977
მიღებულია 2023 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-	425,796	28,022	-	-	453,818
დარიცხული ცვეთა		(19,496)	(39,395)	(34,019)	(113,340)	-	(206,250)
გასული	(17,985)	-	-	-	(103,610)	(6,322)	(17,985)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	804,435	628,617	158,015	491,492	-	2,082,559

7. მარაგები

ლარი	12/31/2023	12/31/2022
ნედლეული და მასალები	1,238,670	16,889
საწვავი	3,074	3,808
მზა პროდუქცია	508,055	900,881
დაუმთავრებელი მშენებლობა	6,513,663	4,015,736
სულ მარაგები	8,263,462	4,937,314

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	510
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	393	392.6
სულ მოთხოვნები	393	903

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა დაკავშირებული უძრავი ქონების გადმოცემასთან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები შეადგენდა 30,404 ლარს. ხოლო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 201,916 ლარს

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

ლარი	12/31/2023	12/31/2022
ფულადი სახსრები ლარში	961,005	138,081
ფულადი სახსრები ევროში	-	-
ფულადი სახსრები დოლარში	-	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	961,005	138,081

11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 173,446 ლარს, რომელიც ფორმირებულია დამფუძნებლის ფულადი შენატანებით. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 100%-იანი წილის მფლობელი ერთი დამფუძნებლით. 2021 წელს კაპიტალი შემცირდა 108,878 ლარით და გაიზარდა 2,851,301 ლარით. შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,634,281 ლარს.

2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 557,875 ლარით. თუმცა, ამავდროულად მოხდა საწესდებო კაპიტალის შემცირება 2,064,930 ლარით. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,397,654 ლარს.

12. ნასესხები თანხები

კომპანიას სს "საქართველოს ბანკი"-დან აღებული ქონდა ორი დამოუკიდებელი ბიზნეს სესხი, რომელთა ვადიანობაც შეადგენდა ორ წელს, ერთ-ერთი სესხის მოცულობა შეადგენდა 500 000 აშშ დოლარს, საპროცენტო განაკვეთი - 6%-ს, რომლის სრულად დაფარვა განხორციელდა 2023 წელს. 2020 წელს აღებული მეორე სესხის მოცულობა შეადგენდა 750 000 აშშ დოლარს, რომლის გადახდები დაიწყო 2022 წელს და მისი სრულად დაფარვა დასრულდა 2023 წლის 01 დეკემბრისთვის. 2023 წელს აღებული სესხის მოცულობა შეადგენს 4 700 000 აშშ დოლარს, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს - 11.76%, 2023 წელს აღებული სესხის ნარჩენი მოცულობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არის 1 790 000 აშშ დოლარი, რომლის ძირის დაფარვა იწყება 2024 წლის 30 დეკემბრიდან

ნაშთი 1 იანვრისთვის

ფულადი მუხლები

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის
სესხის მიღება

3,878,234

ძირის გადახდა	-
პროცენტის გადახდა	(156,909)
პროცენტის დარიცხვა	156,909
არაფულადი მუხლები	
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	(2,521,000)
გადაფასება	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,357,234
სესხის მიღება	4,741,662
ძირის გადახდა	(1,325,247)
პროცენტის გადახდა	(320,412)
პროცენტის დარიცხვა	320,412
არაფულადი მუხლები	
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	(1,278,636)
გადაფასება	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	4,820,260

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	212,583	2,139,674
მიღებული ავანსები	(3,298,731)	-
საგადასახადო ვალდებულება	10,497	-
სულ ვალდებულებები	(3,075,651)	2,139,674

14. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და

პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარეშე, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშევა სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გაგონა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

ლარი	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	602,163	903
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	961,005	138,081
	1,563,168	138,984

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიის“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

ლარი	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,075,651	2,139,674

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

15. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელონი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ კომპანიას დღიდან დაფუძნებისა არ ქონია რაიმე ტიპის სასამართლო დავა ან/და სარჩელი, რაც გარდა კომპანიის გამჭვირვალობისა და გვანახებს მენეჯმენტის მუშაობის მაღალ სტანდარტზე როგორც სახელმწიფო უწყებებთან ასევე მომწოდებლებთან და შემსყიდველებთან ურთიერთობის ნაწილში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს

აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში :

<i>ოპერაციები მმართველ რგოლთან</i>		
ლარი	2023	2022
ხელფასი და ბონუსები	13,457	204,164

17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 23 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, მნიშვნელოვანი მოვლენები, არ დაფიქსირებულა.